პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

27 სექტემბერი
სამშაბათი

1917. საბჭოთა ხელში ძალა უფლების გადასვლა ტაშკენტში საბჭოების ხელში, ხელისუფლების გადასვლა ასტრახანში.

1904. შ. ს. ს. მმართველად დანიშნა სვიატოპოლკ მირსკი (ნდობის ეპოქა).

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის [illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— კომინტერნმა და პროფინტერნმა მოწოდებით მიმართეს ყველა ქვეყნის მუშებს, [illegible] გამოუცხადონ იმპერიალისტებს [illegible] საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

— რუმინეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის მოწადინებულია საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაიცვას.

№ 170 სამშაბათი, 27 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 27 სექტემბერი. 1921 წ. № 170

ყვითლები შავების სამსახურში

I.

საფრანგეთის ბანკირების და იმპერიალისტების ორგანო „Temps“-ში გამოქვეყნებულია პირველ გვერდზე მოწოდება ნ. ჟორდანიასი და „დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის“ ჩხეიძის. მოწოდების ავტორები, ქართველ მენშევიკების ნაფლეთი ლიდერები მიმართავენ ევროპის ხალხთა „საზოგადოებრივ აზრს,“ ე. ი. ევროპის სახელმწიფოების იმპერიალისტურ მთავრობებს და შველას ითხოვენ, ბოლშევიკების ჩამოგდებას და გარეკას ევედრებიან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაზეთის იმავე გვერდზე, ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდების წინა ადგილი უკავია რეაქციონერებისათვის სასიხარულო ცნობას, იმის შესახებ, რომ პოლონეთმა უკვე გადაწყვიტა ულტიმატუმი წარუდგინოს საბჭოთა რუსეთის მთავრობას.

ეს გარემოება ნათელს ყოფს ქართველ მენშევიკების საბოლოო თვითგამორკვევას, მათ სრულს გადაბარგებას იმპერიალიზმის ბანაკში. თუ აქამდის, 6 თვის განმავლობაში ისინი კიდევ სოციალდემოკრატიული ფორმულირით შეთხუპნული დაიარებოდენ ყვითელი ინტერნაციონალის საფლობელოში და მიმართავდენ ევროპის პროლეტარიატს, თუნდა შეიდემან ჰენდერსონის მრევლისას, დღეს ისინი აშკარათ და ხელაღებით მთელს თავის იმედებს ამყარებენ იმპერიალისტურ მთავრობებზე, მათ დახმარებას სთხოვენ ბოლშევიკების დასამხობათ და ბატონობის დასაბრუნებლად. საქართველოში დარჩენილი მენშევიკები თავის რეზოლიუციაში გვარწმუნებდენ, რომ მათ ხელი აიღეს იმპერიალისტურ ძალებზე დაყრდნობაზე. ქართველ მენშევიკების ლიდერები კი საზღვარგარეთ აქტიურად დგებიან სწორედ იმპერიალიზმის ბანაკში, ორგანიულ ნაწილათ შედიან იმ რეაქციონურ კოალიციაში, რომელიც ემზადება საბჭოთა რესპუბლიკებზე ხელახლა დასაცემათ და მუშურ გლეხური ხელისუფლების დასათრგუნავათ. იმპერიალიზმი სოციალიზმის წინააღმდეგ—ეს ფორმულა სისწორით გამოხატავს დღევანდელი კაცობრიობის ურთიერთობას, მის ორ მტრულ ბანაკათ დაყოფას. და ქართველი მენშევიკები სავსებით იმპერიალისტურ ბანაკს ეკუთვნიან.

ამ ბანაკში მათ დაკისრებული აქვთ მათი შესაფერისი როლი: ისინი გამოდიან წვრილფეხა პროვოკატორების და უმკვანო ჯაშუშების, წამსისიანებლების როლში. ჟორდანია-ჩხეიძე თავის მოწოდებაში რამდენჯერმე იმეორებენ ხაზგასმით რომ საბჭოთა რუსეთი შემოვიდა საქართველოში მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის გასაგრძელებლათ ახალი ბაზა დაეკავებია, რომ ის დღითი-დღე ამრავლებს აქ წითელ ჯარს, რათა მოკლე ხანში თავს დაეცეს ევროპის სახელმწიფოებს და წალეკოს. ყველა რეაქციონერები და პროლეტარული რევოლიუციის მოსისხლე მტრები ასეთ მოსაზრებას იხვევენ ხელს, რათა მოატყუონ და იმპერიალისტურ ავანტიურაში ჩაითრიონ ხალხის მასები. რუსეთის მუშებს და გლეხებს ჩვენი გადაყლაპვა აქვთ გადაწყვეტილი—მოვასწროთ, თავს დავეცეთ და ასე ვიხსნათ ჩვენი თავი, დავიცვათ ჩვენი ნამუსი, ჩვენი კულტურა და ცივილიზაციაო!

ასეთი ქადაგებით გადიოდა საქართველოს მენშევიზმი ხალხის მასებში და აღვივებდა ნაციონალისტური სიგიჟის ცეცხლს. მაგრამ დღეს უკვე გამჟღავნებული და ნიღაბ ჩამოგლეჯილი აქ, საქართველოში, ის საზღვარ-გარეთ უერთებს თავის ხმას ყველა ქვეყნის რეაქციონერთა ჰარმონიულ ბღავილს, რათა შესაძლებელი გახდეს საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმა და მშრომელთა დიქტატურის სისხლში ჩახრჩობა. საბჭოთა რუსეთმა მშვიდობიანობის ურთიერთობა და ჰირა ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის ოსმალეთთან, სპარსეთთან და ავღანისტანთან, მკვიდრი ზავიც შეკრა მათ. მან ყველა ფრონტების ლიკვიდაცია მოახდინა, წითელი ჯარის თითქმის ორი მესამედი დაითხოვა. ეს დემობილიზაცია სავსებით გატარდა ამიერ-კავკასიაში მდგომ ჯარის ნაწილებშიაც. მაგრამ ჟორდანია-ჩხეიძე მაინც იმეორებენ დღეს იმას, რაზედაც აქამდის ღოსთქვამდენ და ღაღადებდნენ ვრანგელი და ბურცევი, საფრანგეთის სისხლ მოწყურებული ბანკირები და ბურჟუაზიული პოლონეთის ბედისწერისგან აღტაცებული ჟანდარმერია. ქართველ მენშევიკებს გადაუწყვეტიათ ამ ხროვას შეუერთდენ სამუდამოთ, კარგათ მოიკალათონ, ეგებ გაუღიმოს ბედმა იღბალს და მგლების ბანაკის გამარჯვებამ გაცუღლუტებულ „დემოკრატიას“ ნადავლის ერთი ნაჭერი—საქართველოდ წოდებული—არგოს.

[illegible] ჟორდანია-ჩხეიძეებს, მათ დაკარგეს ყოველივე, უბრალო დემოკრატის სინიდისიც კი. ზემენით კი, მათ იმედი აქვთ, შეიძინენ საქართველოს, თუ კი შესძლებ იმპერიალიზმის წასისიანება საბჭოთა საქართველოზე და იმპერიალიზმის შავი ლაშქრით პროლეტარული რევოლიუციის წითელი ჯარის დამარცხება. ეს უნდა ახსოვდეს საქართველოს მშრომელთა კლასს.

ჩიჩერინის პასუხი

ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ ის საზოგადოებრივი წრეები ევროპის, რომელთაც საკმაო საბუთი აქვთ შიშითა და ძრწოლით უცქირონ აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა ფედერაციას, ვერ მოისვენებენ სანამ ან თვითონ არ დამარცხდებიან საბოლოოთ მასთან ბრძოლაში ან და არ აიძულებენ მას იმ დათმობებზე, რომლის გამოგლეჯას ისინი სცდილობენ თავის ჯიბეების გასასქელებლათ და მებრძოლი კომუნიზმის დასასუსტებლათ, თუ მოსასპობათ არა, რაც მათ სულ უფრო და უფრო უძნელდებათ. ცხადია ყველასათვის ისიც, რომ ამ მიზნის მისაღწევათ ისინი სარგებლობენ ყოველგვარი საშუალებით, ყველა ძალებით, როგორც შიგნი რუსეთში, ისე მის გარეთ. შეიარაღება განაპირა ქვეყნების, მათი შეკავშირება რუსეთთან საომრათ, რუსეთის შინაურ და საზღვარ-გარეთ გადახიზნულ თეთრ-გვარდიელების დახმარება, იქვე მოკალათებულ სოციალ-რეაქციონერების, ე. ი. ესერ-მენშევიკების დარაზმვა, ყოველივე ეს განძრახულია ერთ წერტილში დასარტყმელათ. ცნობილია მათი ინსინუაციებიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ: „ნეიტრალური“ საზოგადოებრივი აზრის „დასამუშავებლათ“ ევროპის მთელი რეაქციონურ პრესაში მოდებულია მარდი ხელით ცნობები იმის შესახებ, თითქოს რუსეთის „წითელი იმპერიალიზმი“ ემზადება საომრათ ევროპის წინააღმდეგ და განსაკუთრებით დასავლეთით თავის მოსაზღვრე პატარა ერების დასაპყრობათ და მათ ჩასაყლაპავათ. სისაზიზღრე ამ ჭორების ცხადია ყველასათვის, ვისაც ოდნავ მაინც გათვალისწინებული აქვს როგორც საზოგადოთ, მიზნები საბჭოთა ხელისუფლების, ისე, კერძოთ, მისი დღევანდელი მდგომარეობა, რომელსაც დიდი ომებიდან თავდახწეული როგორც იქნა გადავიდა ის შინაური სამეურნეო ცხოვრების აღორძინებაზე და მთელ ძალას და ღონეს ამ ახალ ფრონტს, შრომის ფრონტს ალევს. ხოლო ის საშინელი სტიქიური უბედურობა, რომელიც თავს დაატყდა მას მთელი გუბერნიების დამშევითა და რომელზედაც ზრუნვა კიდევ უფრო ართულებს მის შინაურ მდგომარეობას, მთელი ეს გარემოება აქარწყლებს იმ ეჭვებს, ინსინუაციებს და ჭორებს რუსეთის ვითომდა დაპყრობითი განძრახვების შესახებ, რასაც უსინდისოთ, წარბ შეუხრელათ ავრცელებენ მისი მტრები ავაზაკური მიზნით. ნათელია ყველასათვის, ვისაც თვალები ძალათი არ დაუხუჭავს და ყურთა სმენა არ დაუხშია, რომ რუსეთისა, და მასთან რევოლიუციის, აშკარა მტრებს სურთ ისარგებლონ საბჭოთა ქვეყნების სწორეთ ასეთი მძიმე მდგომარეობით, რომ გასრისონ ისინი და მით დაამარცხონ მუშათა რევოლიუცია როგორც ამ ქვეყნებში, ისე კაპიტალიზმის სამეფოებში. მათ, და კერძოთ ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა, შეარჩიეს ეს დრო, წინ წამოაყენეს პოლონეთი და მისი პირით წარუდგინეს რუსეთს ულტიმატუმი. პოლონეთის ბურჟუაზია მოითხოვს, რომ რუსეთმა შეასრულოს რიგაში დადებული საზავო ხელშეკრულობის პირობები. ყველა შეგნებული მოქალაქისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ საქმე რიგის ხელშეკრულობის აუსრულებლობაში არ არის. ეს ბრალდება წამოყენებულია იმ მიზნით, რომ ევროპას თავში გაუელვოს ერთმა აზრმა: თითქოს რუსეთი არ ასრულებს პოლონეთთან დადებულ ზავის პირობებს, ასეთი ყალბი წარმოდგენით ცდილობენ მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი რუსეთთან ომისთვის. რაშია ნამდვილათ საქმე, რამდენადაც მართლა შეიძლება ლაპარაკი რუსეთის მხრივ პირობების „შეუსრულებლობაზე“?

ერთი უმთავრესი მუხლი ყველა საზავო ხელშეკრულობების, რომლებიც დასდო საბჭოთა რუსეთმა ყველა მასთან ამდენ ხანს მტრულათ განწყობილ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. შეეხება იმას, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ ყველა ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ველარ უნდა იბუდონ თეთრგვარდიელთა ძალებმა და მათმა შტაბებმა, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი ორგანიზაციების ლიკვიდაცია, რათა საზავო ხელშეკრულობით რუსეთთან დაკავშირებული ქვეყნების მიწა და წყალი აღარ შეიქნენ დღიდან კეთილმეზობლური განწყობილების აღდგენისა საბჭოთა რუსეთის მოსისხლე მტრების დასაყრდნობ და სათარეშო ბაზათ, საიდაც ისინი რაზმავენ ევროპის კაპიტალის დახმარებით თავის ძალებს რუსეთის მუშებზე და გლეხებზე თავდასასხმელათ. ეს მწვავე პოლიტიკური საკითხი შეიქნა ერთ-ერთ უმთავრეს პირობათ არა მარტო ისეთ დოკუმენტებში, როგორიც არიან ომების შემდეგ დადებული საზავო ხელშეკრულობები. რომ ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რუსეთისათვის, ეს სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ თვით ნორმალური ეკონომიურ-სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მიზნით გერმანიასთან წარსულ მაისში დადებულ ხელშეკრულებაშიაც რუსეთის დელეგაციის მოთხოვნით შეტანილ იქმნა სათანადო მუხლი, რომლის აზრით გერმანიაში უნდა აღიკვეთოს რუსეთის თეთრ გვარდიელების ორგანიზაციების მუშაობა ლეგალურათ და მოხდეს იქაც მათი ლიკვიდაცია. და აი სხვა პირობებთან ერთათ ხელშეკრულობის სწორეთ ამ მნიშვნელოვან მუხლს არ ასრულებს პოლონეთის ბურჟუაზიული მთავრობა. დოკუმენტალურათ დამტკიცებულია—და ამის უარყოფა ვერ შესძლო ვარშავის მთავრობამ,—რომ მას ისევ, როგორც ზავის ჩამოგდებამდე, განუწყვეტელი კავშირი აქვს თეთრგვარდიელებთან და უწყობს მათ ხელს. ეს გარემოება აიძულებს რუსეთის საბჭოთა მთავრობას ეჭვის თვალით შეხედოს პოლონეთის ბატონ პატრონების გულწრფელობას და მათ სურვილს პატივი სცენ თავის საკუთარ ხელმოწერას რიგის საზავო ხელშეკრულებაზე. ამხ. ჩიჩერინის საპასუხო ნოტაში პოლონეთის თეთრგვარდიელებისადმი სწორეთ ამ გარემოებას აქვს გასმული ხაზი: „რუს თეთრ გვარდიელთა ბრბოები—ამბობს ამხ. ჩიჩერინის ნოტა—პოლონეთის მთავრობის ორგანოების დახმარებით, კვლავ განაგრძობენ საბჭოთა საზღვრების გადალახვას და ეწევიან საბჭოთა ტერიტორიაზე უსინდისო პოგრომულ მუშაობას, პოლონეთის მთავრობა უვლის რა გვერდს საკითხს ამ ბანდების ლიკვიდაციის შესახებ, არ ასრულებს რიგის ხელშეკრულობიდან გამომდინარე ვალდებულებებს. რუსეთის მთავრობა ახლაც ისევე, როგორც წინეთ გამოსთქვამს სრულ თანხმობას შეასრულოს თავის ვალდებულებები იმავე ვადაში, რომელშიაც პოლონეთის მთავრობა შეასრულებს რიგის ხელშეკრულებით თავისთავზე აღებულ ვალდებულებებს“. პასუხი პოლონეთის ნოტაზე არ შეიძლება ყოფილიყო სხვა ნაირი. ის ნათელია და გარკვეული. ხელშეკრულობა დადებულია. ერთი მხარე—პოლონეთი—მას არ ასრულებს თავის ერთ მის უმნიშვნელოვანეს ნაწილში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის და მით აიძულებს უკანასკნელს ეჭვის თვალით შეხედოს მოწინააღმდეგის საქციელს. ეს არის პოლონეთის მხრივ საბოტაჟი დადებული ზავის. რამდენათაც კითხვა შეეხება მისი პირობების შესრულებას, აქ დაბრკოლება შეიძლება იყოს მხოლოთ პოლონეთის მხრივ რადგან რუსეთის ვალდებულებანი თვით ჩვენი ამხანაგების სიტყვით შედარებით უმნიშვნელო არიან და მათი სისრულეში მოყვანა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამხ. ჩიჩერინის კატეგორიული და გარკვეული პასუხი თავის გავლენას მოახდენს ევროპაში და თვით პოლონეთშიც, რამდენათ პოლონეთის ხალხს საშუალებას არ მოუსპობენ გაეცნოს ამ პასუხს. ასეთ შემთხვევაში დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა და ომი შეიძლება მოხდეს სულ სხვა მიზეზებით, იმ მიზეზებით, რომელთა შესახებ არასფერი არ არის და არც შეიძლება იყოს ნახსენები პოლონეთის ოფიციალურ ნოტაში. ბრმებიც დარწმუნდებიან მაშინ, თუ რა აზრი ჰქონდა ულტიმატუმს სცენაზე გამოშვებულ პოლონეთისას და ვინ ამოძრავებს „კულისებიდან“ მას. ამხ. ჩიჩერინის პასუხის შემდეგ პოლონეთის ბურჟუაზიის მხრივ საომარი პირობების შექმნა იქნება შედეგი სწორეთ ასეთი მიზეზების, ხოლო უკან დახევა პოლონეთის—მომასწავებელი იმის, რომ პოლონეთის ხალხი მიხვდება თავის ბატონებისას და მაგარი ლაგამი ამოსდო მათ.

ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის—პოლონეთის მშრომელ ხალხთან ერთათ—გავლენით ბოლო მოეღება იმ ავაზაკობას, რომელიც ემუქრება აღმოსავლეთ ევროპას ახალი სისხლის დვრითა და ხალხის აწიოკებით და რომ ცეცხლის წამკიდებლები იგემებენ დაბოლოს აღშფოთებული ხალხების სასტიკ მსჯავრს.

ჩვენი საბაჟო პოლიტიკა

რაგვარი უნდა იყოს ჩვენი საბაჟო პოლიტიკა? ეს საკითხი ძლიერ საყურადღებოა და მრავალმნიშვნელოვანი, მის გადაჭრას სჭირდება დიდი მოფიქრება. საბაჟო პოლიტიკა არის ნაწილი ეკონომიური პოლიტიკისა, არის საფუძველი იმ სავაჭრო პოლიტიკისა, რომელსაც მთავრობა გაიზიარებს. საბაჟო პოლიტიკა უნდა დაექვემდებაროს იმ ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც არის რესპუბლიკაში და იმ ხაზს, რომელზედაც უკვე სდგას მთავრობა ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. საქართველო არის სოფლის მეურნეობის ქვეყანა. საქართველო უმთავრესათ მომხმარებელი, წარმოება მისი ძლიერ სუსტია. წარმოება უნდა დამკვიდრდეს, მრეწველობა უნდა აღორძინდეს. ის მრეწველობა, რომელიც არის, ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია: გაცვეთილი მანქანები, ნედლი მასალის დიდი ნაკლულოვანება. საქართველოს რესპუბლიკას უმთავრესათ მომხმარებელს, ბევრი რამ სჭირდება უპირველესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ: უმთავრესი მოთხოვნილება მშრომელი ხალხის და მოთხოვნილებანი მრეწველობის გასამაგრებლათ, განსამტკიცებლათ. დღევანდელ პირობებში საქართველო იძულებულია თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიმართოს უცხოეთს და იქიდან შემოზიდოს ის, რაც მას სჭირდება. საჭიროებანი მრავალგვარია, მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ისეთი მოთხოვნილება, რომელიც ხალხს დაიცავს გადაშენებისაგან, მრეწველობას, ნიადაგს ხალხის არსებობისას შექმნის და გაამაგრებს. უნდა მოხდეს გადარჩევა და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს მხოლოდ ის, რის გადადება არ შეიძლება. რის გადადება უშიშრად შესაძლებელია უნდა გადაიდვას. მეორე და მესამე რიგში უნდა იქნეს ჩაყენებული. ამ მიმართულებით მუშაობისათვის საჭიროა მტკიცე, ურყევი მოქმედება. თუ ამ დებულებას, სწორს, უტყუარს, სადს, მივიღებთ, გამოვარკვევთ იმ საბაჟო პოლიტიკის საფუძველს, მის შემადგენელ ნაწილებს, რომელსაც ჩვენ ვეძიებთ.

საზღვარგარეთიდან უნდა იქნეს შემოზიდული ყველაფერი, რაც ამ აუცილებელ დღევანდელ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, დანარჩენი კი უნდა აიკრძალოს. რა უნდა აიკრძალოს და რა გზით? ადვილი შესაძლებელია გვიპასუხონ, რომ ეს დებულება არ შეესაბამება იმ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა აწარმოებს. ასეთი შეკითხვა არა ერთხელ გვსმენია. იტყვიან: მთავრობამ ღიარა და ნება მისცა თავისუფალ ვაჭრობას, თუ შემოტანა საქონლის იქნება შეზღუდული, მაშინ რა აზრი აქვს თავისუფლებას ვაჭრობისას, რანაირად შეიძლება ვებრძოლოთ სპეკულიაციას, სიძვირეს. იტყვიან კიდევ: [illegible] საქონელი თავისუფლად, რაც მეტი შემოვა, იმდენათ გაიზრდება მეტოქეობა, გაიაფდება ცხოვრება. თითქოს ჩვენ მოწინააღმდეგეს აზრი მართალია: რაც მეტი იქნება საქონელი მეტი იქნება მეტოქეობა, ცხოვრება გაიაფდება. ჩვენ წარმოება არა გვაქვს, ნაწარმოები უცხოეთიდან უნდა იქნეს შემოტანილი. დღეთან ხმით მოწინააღმდეგეს, იმპორტის თავისუფლების მოტრფიალეებს, მთავრობამ მისცა სრული თავისუფლება და არ შეზღუდა იმპორტი (ფუფუნების საგნების შემოტანას, რასაკვირველია ვერავინ დაიცავს და ეს საკითხი უნდა მოიხსნას). საქართველოში შემოვიდა საქონელი უცხოეთიდან, შემოდის კიდევ.

უცხოეთიდან შემოსული საქონლის ღირებულება უნდა იქნეს ანაზღაურებული. იმპორტიორი შეეცდება მიიღოს საქონლის სამაგიეროთ ისეთი საფასური, რომელსაც ის გამოიყენებს უცხოეთში. რა შეუძლია მიიღოს საქონლის მაგივრათ? 1) უცხოეთის ფულის ნიშნები ჩვენი ფულებზე გადახურდავებით; 2) ოქრო ჩვენ ფულებზე გადახურდავებული; 3) ნედლი მასალა. რაც მეტი შემოვა საქონელი, იმდენათ მეტი იქნება უცხოეთის ფულის ოქროს მოთხოვნილება, იმდენათ მეტი იქნება მათი მაძიებელნი. უცხოეთის ფულის ნიშნები, ოქრო ძლიერ მცირეა რესპუბლიკაში. რაც დიდი იქნება მათი მოთხოვნილება (მოთხოვნილება იმდენათ გაიზრდება, რამდენათ გაიზრდება იმპორტი) იმდენათ აიწევს ფასი ჩვენ ფულებზე უცხო ფულის და ოქროსი, იმდენათ დაეცემა ჩვენი ფულის ღირებულება. ჩვენი ფულის ღირებულების შემცირება გამოიწვევს იმ მოვლენას, რომელსაც ცხოვრების გაძვირება ეწოდება. ჩვენი ფულის ფასის, ღირებულების დაცემა იქნება ბეგარა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მშრომელს დააწვება. მშრომელს კი იმიტომ დააწვება, რომ მისი უნარი შეძენის, საქონლის შესყიდვის, ძლიერ მცირეა. უპირველესი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც კი ვერ შეძლებს, რადგან ფული თავის ღირებულების ნაწილს დაკარგავს. ფულის ღირებულების დაცემა ბეგარათ დაედება ხაზინას, ვინაიდან რაც მცირე იქნება ფულის ღირებულება იმდენათ გაიზრდება მისი ხარჯები, იმდენათ მეტი ქაღალდის ფულები უნდა ბეჭდოს და იმდენათ უნდა დაინგრიოს ფულის ტრიალის მდგომარეობა.

წარმოვიდგინოთ, რომ იმპორტიორებს მიეცემა უფლება ნედლი მასალის გატანის შემოტანილი საქონლის სამაგიეროთ. წარმოვიდგინოთ, რომ განსაზღვრული იქნება გასატანი საქონლის სია. იმპორტიორები გადაცვლიან საქონელს ნედლ მასალა-

ეროვნული საკითხი ჩვენში

IV

საქართველოს ისტორია

მაგრამ გვეტყვიან: ეროვნული მოძრაობა არ შეიძლება დავაშოროთ სახელმწიფოებრიობასო. ეს მართალია: ის უფრო სახელმწიფოთა შორის ომს წარმოადგენს, ვიდრე თვით სახელმწიფოს ფარგლებში მის შემადგენელ ნაწილთა შორის ბრძოლას.

თვითეული ერი და ეროვნება წარმოიშვა ცალ ცალკე სახელმწიფოს ფარგლებში და თვითეული მათგანი შემოზღუდულ იქნა სახელმწიფოებრივი საზღვრებით. პირველ ხანებში ერი მომწიფებულ ქვეყნებში თამაშობდა სახელმწიფოს და სახელმწიფო კიდევ წარმოადგენდა ერთი რომელიმე ერის საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მაგრამ როცა განვითარდა საქონლის მასიური წარმოება, როცა აღებ მიცემობამ მსოფლიო საერთაშორისო ხასიათი მიიღო, მაშინ სახელმწიფო გასცილდა ერთი ერის ფარგლებს და შედგა როგორც რამდენიმე ერის გაერთიანებული სახელმწიფო ან ძალადობის გზით, ან და ნებაყოფლობით. ეს უფრო მექანიკური შეერთება იყო, ვიდრე ორგანიული, ვინაიდან ამ პროცესში მთავარ როლს სახელმწიფო ასრულებდა, ერთი ერი სახელმწიფოებრივათ იპყრობდა მეორეს დ იერთებდა ძალით, ანდა ერთი რომელიმე ერი, როგორც სახელმწიფო უცხო სახელმწიფოებთან ბრძოლაში დასუსტებული ნებაყოფლობით უერთდებოდა მეორეს, რომ ამით თავი რამდენიმეთ მაინც გადაერჩინა სრული ისტორიული გაქრობისაგან. ეს იყო ეროვნული არსებობისათვის ბრძოლა.

და აი საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამ ბრძოლაში დაადგა მეორე გზას. ნებაყოფლობით უცხო სახელმწიფოს შეერთების გზას, რომ „ქართველობას“ ეროვნულად მაინც თავი გადაერჩინა.

საქართველოში სახელმწიფო ქრისტიანობის პირველ საუკუნეში შედგა და ამ სახელმწიფოს ქართველთა მოდგმის სხვადასხვა ტომები და გვარები შეადგენდენ. ეს სახელმწიფო დაყოფილი იყო „მამასახლისებათ“.

განვლო ორმა თუ სამმა საუკუნემ და სახელმწიფოს სათავეში მოექცა ერთიერთი მამასახლისთაგანი ანუ „ერის თავი“, რომელსაც ხალხმა „მეუფე“ ანუ მეფე უწოდა. როგორც ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს პირველი ასეთი მეფე შეიქმნა მცხეთის მამასახლისი ანუ ერისთავი.

ამნაირათ საქართველო შეიცავდა ერთ ერს და ერთ სახელმწიფოს, მხოლოდ მჭიდროთ იყო მასთან დაკავშირებული აფხაზთა სამეფო. ამ ხანაში არა თუ თავდაცული იყო საქართველო, არამედ მის მეომარ მეფეებს და მხედრებს იქეთ მიჰქონდათ იერიშები სხვა ხალხზე დ თავდასხმას ახდენდენ მეზობლებზე: ოსებზე, ლეკებზე, სომხებზე და სხვებზე.

მაგრამ შემდეგში გაძლიერდენ მეზობელი სახელმწიფოები: სპარსეთი, არაბეთი, ოსმალეთი და სხვ. და მოაწვენ საქართველოს საზღვრებს. საქართველო იძულებული გახდა მოკავშირე მოეძებნა, რომ მოზღვავებულ მტრებს გამკლავებოდა. ერთად ერთი ბუნებრივი მოკავშირე, რომლისგან მან სიკეთის და კეთილი მეზობლობის მეტი არა იცოდა რა, იყო ჩრდილოეთის სახელმწიფო, რუსეთი.

რუსეთთან მას არ მოსვლოდა ჯერ არც ერთი მტრული შეტაკება და მას მისი ხრიდან იცავდა ბუნებრივი მაღალი კავკასიონის ქედი, რომლის გადმოლახვა იმ დროში ყოვლად შეუძლებელი იყო. და მასთან ამ მაღალი ციხე სიმაგრის კარები—დარიალი—საქართველოს ხელში იყო.

ამნაირათ რუსეთი მისთვის ყოვლად უწყინარი და კეთილი მეზობელი იყო და თუ მას შეუკავშირდებოდა და მოისურვებდა მის მოშველებას, შეეძლო მისთვის დარიალის კარები გაეღო და აზიიდან მოსული მტრების წინააღმდეგ მისი ძალები გამოეყენებია. რუსეთთან რომ საქართველოს საშუალო საუკუნეებში ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა, ამას ის ფაქტიც აშკარათ მოწმობს, რომ ფეოდალიზმის უმაღლესათ განვითარების ხანაში, საქართველოში და მთელ კავკასიაში სახელგანთქმულმა მისმა დედოფალმა, თამარმა ქმრათ ჩრდილოეთიდან ვინმე რუსის თავადი ანდრია მოიწვია. ამის შემდეგ საქართველოს რუსეთთან კავშირი არ შეუწყვეტია და როგორც ისტორია მოწმობს მეჩვიდმეტე საუკუნეში მოსკოვის კარზე დესპანებსაც გზავნიდა. ეს ცხადია, არ გამოეპარა სპარსეთის მფლობელს, შაჰაბაზს და მან, როგორც აღმოსავლეთის პოლიტიკის მცოდნემ დიდი ყურადღება მიაპყრო ამ მოვლენას. მან ამაში თავისი დიდი საფრთხე დაინახა და გადაწყვიტა რუსეთს მოასწროს და საქართველო თვითონვე ძალით დაიპყრას, მაგრამ მან ამ ხალხის ისტორიიდან იცოდა, რომ ქართველი ხალხი ვერცერთ უცხო ხალხს ვერ დაემორჩილებია და ვერც გადაგვარებია, მაგალითად, ვერც არაბებს, ვერც მონგოლებს და ვერც სხვას, ამიტომ მან გადაწყვიტა მიეღო ასეთი ღონისძიება: გადაესახლებია ქართველი ხალხის უმრავლესობა სპარსეთში, ხოლო აქ, საქართველოში ჩამოესახლებია აზერბაიჯანელი თათრები. ის შეუდგა კიდეც ამ გეგმის შესრულებას, მაგრამ ქართველობამ გიორგი სააკაძის წინამძღოლობით შესძლო ამ გეგმის ჩაშლა და საქართველოს საზღვრებში კვლავ გამაგრება. (იხ. ისტორ. მონოგრაფია ანტონ ფურცელაძისა—„ბრძოლა საქართველოს მოსპობისათვის“). შაჰაბაზის ასეთი გეგმის სისრულეში მოყვანის ცდას ნათლად მოწმობენ სპარსეთში ახლაც არსებული სოფლები ქართველებით დასახლებული.

აქ უნდა აღინიშნოს საქართველოს ისტორიის ერთი მეტათ საყურადღებო ეპიზოდი. სახელდობრ ის, რომ ქართველობამ დასახელებულ ისტორიულ მომენტში იმავე გიორგი სააკაძის მეთაურობით პირველათ უარჰყო რუსეთთან კავშირი, რომ ამით სპარსეთის მტარვალის შიში გაექრო და მისი ნდობა მოეპოვებია.

„დიდი მოურავი“, გიორგი სააკაძე დაეყრდნო ქართველი ხალხის საკუთარ ძალებს და მისი იმედით მთელ აღმოსავლეთს ომი გამოუცხადა. ეს პირველი გმირული გაბედულება სიმამაცე იყო ქართველების მხრით, რომ საკუთარ ძალას, ნამდვილ დამოუკიდებლობას დამყარებოდენ და თავისი მომავალი ეროვნული ცხოვრება დამოუკიდებლათ განემტკიცებიათ. ამ მიზნით სააკაძემ ეკონომიურ განვითარების ზომებსაც კი მიმართა, მაგრამ მას ბედმა უმტყუნა: ის ბრძოლის ველზე დაეცა და არც საქართველოსთვის აღმოჩნდა ის ობიექტიური პირობები, რომლის მეოხებით მას შეძლებოდა კარჩაკეტილი ფეოდალურ-კუთხური წყობილება, პარტიკულიარიზმი და წარმოების ნატურალური სისტემა გადაელახა და საქონლის წარმოების სისტემაზე გადასულიყო.

ამნაირათ ის კვლავ ჩარჩა პარტიკულიარულ ფეოდალურ ჩარჩოებში, მხოლოთ ერთი კი შესძლო მან, სახელდობრ ის, რომ გარედან მოზღვავებულ მტერთა წინააღმდეგ შეკრა მტკიცე სამხედრო ორგანიზაცია, იმ დროის პირობების მიხედვით ძლიერ განამტკიცა ერთ სულოვნობით გარეშე მტრებთან ბრძოლაში საქართველოს სამთავროების სხვა და სხვა კუთხის ხალხი: გურია და სამეგრელო, იმერეთი და აფხაზეთი, რაჭა და ლეჩხუმ-სვანეთი, ქართლი და კახეთი და სხვები და სხვები, ასე რომ ლოზუნგი: საერთო ბრძოლა „სამშობლოს“ დასაცავათ და „ურჯულოების“ წინააღმდეგ—შეიქნა ერთი საერთო ეროვნული დროშა და ყველა ზემოთ დასახელებული ხალხები ამ დროშის ქვეშ შემოკრბენ. გარეშე მტრების წინაშე შიშ ქვეშ გაერთიანებამ და ერთსულოვნობით მათ წინააღმდეგ წარმოებულმა სამხედრო წესით თავდაცვამ გააერთიანა რამდენიმეთ ქართველი მოდგმის ხალხები და მათგან რამდენიმეთ შეჰქმნა ერი, ეროვნება, მაგრამ ეს დროებითი, შემთხვევითი იყო, ამიტომ მან ვერ შესძლო ქართველი მოდგმის ხალხების ერთ მეფობის ქვეშ შედუღება. შეერთება, ერთ მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათ გადაქცევა, ამისთვის საჭირო შეიქნა გარეშე ძალა, რომ ამ ხალხებისთვის ერთ სახელმწიფოს დროშის ქვეშ თავი მოეყარა, ისინი სამოქალაქო ასპარეზზე გამოეყვანა, შეექმნა მშვიდობიანი პირობები, რომ მათი წარმოებითი ძალები აღორძინებულიყო და ეკონომიურ სფეროში ამოქმედებულიყვნენ, როგორც ეს ევროპის ყველა დიდ ერებში და რუსეთში მოხდა.

ასეთი დრო საქართველოს დაუდგა მხოლოთ მეთვრამეტე საუკუნის გასულს, როცა ჩრდილოეთელი მისი „ერთმორწმუნე“ ერი სახელმწიფოებრივათ მეტათ გაძლიერდა, როცა ეს ერი ერთ მტკიცე თვითმპყრობელურ სახელმწიფოთ იქცა და მან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ დაიწყო ცქერა, რომ მას თავისი გავლენა სამხრეთზე და აღმოსავლეთზედაც გაევრცელებია, როცა რუსეთის სახელმწიფო იმპერიათ იქცა და მისი აგრესიული პოლიტიკა კასპიის ნაპირებით სპარსეთისაკენ მიიწევდა.

ამ დროს საქართველოს ხალხის ბატონპატრონა თავად-აზნაურობას და მის მეფეს მეტათ მძიმე პირობები დაუდგა: გარეთ მტერი გამრავლდა და გაძლიერდა, ხოლო შინ პარტიკულიარიზმი, სამთავროთა შორის ქიშპობა, მოცილეობა და მტრობა-შუღლი განვითარდა, ერთი სახელმწიფო, საქართველო შვიდ სამეფოთ, შვიდ საქართველოთ დანაწილდა და ამნაირათ თავდაცვის ენერგია ძალზე შეუსუსტდა. მისი უკანასკნელი მეფე, 95 წლის ერეკლე საგონებელში ჩავარდა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სხვაფრივ ვერც თავს, ვერც დინასტიას და ვერც სამეფოს ვერ იხსნის განადგურებისაგან თუ არა მარტოოდენ იმით, რომ საქართველოს ბედი მჭიდროთ დაუკავშიროს რუსეთის ბედს. 1783 წლის აქტი და რუსეთთან დადებული ხელშეკრულება გახდა ის პოლიტიკური საფუძველი, რომელზედაც აიგო საქართველოს მთელი მომავალი. ისტორიული ტრადიცია რუსეთთან დაახლოვების ამ აქტით საბოლოოთ განმტკიცდა. **ერეკლე მეფემ ამით თავისი დინასტიის და თავადაზნაურობის ბედი რუსეთის საიმპერატორო გვარეულობის, რომანოვების ბედს დაუკავშირა, ხოლო საქართველოს ხალხის ბედი რუსეთის ხალხის ბედს.** ეს მეტათ ღირს შესანიშნავი და მნიშვნელოვანი აქტი შეიქნა, ამით გადაწყდა მთელი საქართველოს მომავალიც.

მე მგონია, რომ ამ აქტის მნიშვნელობა ჩვენს ნაციონალისტებს ჯერ კიდევ არა აქვთ ჯეროვანათ შეფასებული და ეს იმიტომ, რომ მათ ჰგონიათ მას დროებითი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის და იმას კი ვერ ხედავენ, რომ ამ აქტმა თავისი შემოქმედის, ერეკლე მეფისდაუნებურათ განსჭვრიტა და განსაზღვრა ჩვენი ერის შემდეგი განვითარების გზა და მიმართულება.

ეს იყო რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთების აქტი.

ამ აქტით შემოვიდა საქართველოში ის გარეშე ძალა რომელზედაც ზემოთ ვთქვი დ რომელიც აუცილებელი იყო საქართველოს აღორძინებლათ. ეს იყო რუსული ძალა. თვითმპყრობელური რუსეთის სამხედრო ძალა დ რუსული კულტურა. ის როგორც ნებაყოფლობით შემოსული არ იყო ძალით დამპყრობელი, მაგრამ მისი თვითმპყრობელური, ერთმეფობის რეჟიმი დიდათ ეწინააღმდეგებოდა ჩვენებურ ფეოდალურ პარტიკულიარიზმს, მისი კულტურა დიდად ეჭიდებოდა ჩვენს აზიურ კულტურას.

და აი საქართველოში გაჩაღდა ბრძოლა ამ ნიადაგზე.

მაშინდელი რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რეჟიმი საშინელი მტერი აღმოჩნდა ჩვენი მაშინდელი თავად-აზნაურობის თავგასულობის თვითნებობის და კარჩაკეტილობის. მან ბრძოლა გამოუცხადა მათ პარტიკულიარიზმს და მათ სრული მორჩილება მოთხოვა. ეს იუცხოვეს, რათქმა უნდა, საქართველოს ბატონიშვილებმა და მათ ისევ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა მოინდომეს, ამხედრეს რუსეთის წინააღმდეგ დამონებული გლეხკაცობა-ყმები და აჯანყებები გამართეს (ლევან და ალექსანდრე „მეფის“—იმერეთში, ბატონიშვილის—კახეთში, **ეს იყო პირველი ბრძოლა** ჩვენში ვითომდა დაჩაგრული ერის ნამდვილათ კი გაბატონებული წოდების „მპყრობელი“ ერის, რუსეთის წინააღმდეგ, რაც აჯანყებულების სრული მარცხით დამთავრდა. ქართველმა მშრომელმა ხალხმა იგრძნო, რომ ამ ბრძოლაში რუსეთის თვითმპყრობელობა უფრო პროგრესიულია და ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო, ვიდრე მათი ძველი ბატონები—თავად აზნაურობა, რომელიც ხალხს სულ უფრო და უფრო მეტ მონობაში და შევიწროებაში აგდებდა, აჯანყებულ „მამულიშვილთა“ დამარცხების შემდეგ თავად-აზნაურობამ იკადრა რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში შესვლა და ამ გზით წოდებრივ უპირატესობათა შერჩენა.

მეორე მხრით ბრძოლა გამოუცხადა საქართველოს გაბატონებულმა წოდებამ რუსეთის შემოსვლას კულტურულ ნიადაგზედაც. კარგა ხანს არ სურდა მიეღო რუსული კულტურა და ყველა მის მომხრე ქართველებს ზიზღით „რუსეთუმეებს“ ეძახდა, მაგრამ თავად ვორონცოვის „ლიბერალურმა“ პოლიტიკამ და რუსულმა გაევროპიელებულმა კულტურამ თავისი გაიტანა. მალე საქართველოში თან და თან „რუსეთუმეები“ გამრავლდენ, თავად აზნაურნი სამსახურში შევიდენ და ამნაირათ ბედს შეურიგდენ: პირველი „პატრიოტული“ რეაქციონური მოძრაობა დაცხრა. ამის შემდეგ საქართველოს თავად აზნაურობის ახალგაზრდობა წავიდა რუსეთში სწავლა-ცოდნის მისაღებათ. იქ ის გაეცნო იმ დროის პოლონელთა ეროვნულ მოძრაობას და ამ გაცნობისა და იმ მძიმე შეგნების გავლენით, რომ „საქართველომ რუსეთის თვითმპყრობელობის შემოსვლით, მასთან შეერთებით დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში კვლავ დაიწყო „ეროვნული მოძრაობა“, განახლდა „პატრიოტიზმი“. ახლა ამ მოძრაობას სათავეში უდგა ძველი „ბატონიშვილები“ კი არა, არამედ ჩვენი თავად-აზნაურობის რუსეთში „განსწავლული“ შვილები, ინტელიგენცია: დოდაშვილები, ერისთავები და ორბელიანები, რომელთაც მოაწყვეს ერთგვარი შეთქმულება და სურდათ რუსეთის წარმომადგენლები, როგორც მთავრობის ისე კულტურის საქართველოდან გაეძევებიათ. ეს იყო ჩვენში რუსების წინააღმდეგ, როგორც დამპყრობელი უცხოელების წინააღმდეგ მეორე ორგანიზაციულად მოწყობილი შეტაკება, რომელიც აგრეთვე სრული მარცხით დამთავრდა. რუსეთის ფხიზელმა და გამოცდილმა თვითმპყრობელურმა ბიუროკრატიამ მალე შეუტყო მათ, მიაგნო საიდუმლო ორგანიზაციას, გამონახა ყველა მეთაურები და ყველა ისინი რუსეთის სივრცეზე აქეთ იქეთ გადაჩანტა, გადაასახლა. მალე „მოჰკვიანდენ“ ყველა ეს ერისთავები და ორბელიანები და რამდენიმე წლის გადასახლების შემდეგ ერთგულათ შეუდგენ რუსული კულტურის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვას. ყველამ ვიცით, თუ რა ღვაწლი მიუძღვით ამ მხრით ისეთ ჩვენს ძველ მწერლებს, როგორებიც იყვნენ გ. ერისთავი, გრ. ორბელიანი და სხვები. ამათ ჩაუყარეს საფუძველი ჩვენს ახალს ქართულ მწერლობას. მათაც დაგმეს „პატრიოტული მოძრაობა“ იარაღით ხელში და შეუდგენ კულტურის სამსახურს.

ამნაირათ სრულიათ გაიმარჯვა ჩვენში, არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ კავკასიაში რუსულმა ძალამ და მან ქართული ძალების დახმარებით მკვიდრათ დაიკავა ევროპისა და აზიის შემაერთებელი ყელი, ამ ორი ქვეყნის კულტურულათ მომავალ საუკუნეში გამაერთიანებელი გზა და ხიდი, კავკასიის მხარე.

რუსეთმა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის ხანაში შეჰქმნა მტკიცე და მაგარი ეროვნული სახელმწიფო ერთ პიროვნული ნებით შედუღებული, განმტკიცებული და უძლეველათ ქნილი. ასეთი იყო ძველი სახელმწიფოები: ინლგისის, საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიის და ბოლოს რუსეთის, რომელთაც სათავეში ედგათ გაბატონებული, გამარჯვებული ერი თავისი თვითმპყრობელურ, ბიუროკრატიული რეჟიმით. ეს არის ფეოდალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური და კაპიტალიზმის დასაწყისი, რასაც როგორც საქართველოს ისტორიის ერთის თვალის გადავლებით დავინახეთ, ქართველმა ერმა თავისი საკუთარი ძალ-ღონით ვერ მიაღწია. ის შეჩერდა ფეოდალიზმის განვითარების შუა გზაზე და წინ ველარ დაიძრა.

მაგრამ რუსეთის მეოხებით, საქართველოს ხალხი, ქართველი ერი მხნეთ და იმედიანათ შევიდა კაპიტალიზმის სამეფოში, ის ამით მონაწილე გახდა მსოფლიო ახალი საკაცობრიო კულტურის და სრულუფლებიანი წევრი შეიქნა საერთაშორისო ოჯახის. ეს არის მისი განვითარების ახალი გზა, გზა ევროპის კულტურისაკენ რუსეთით, გზა იმავე რუსეთით კაცობრიობის უმაღლეს საზოგადოებრივი წყობილებისაკენ, გზა სოციალიზმ-კომუნიზმისაკენ. აი როგორ გვესმის ჩვენ საქართველოს ისტორია საზოგადოთ და უკანასკნელი დროის კერძოთ.

როგორც ხედავთ საქართველოს ისტორია ნათლათ და აშკარათ გვიჩვენებს, რომ ქართველმა ხალხმა თავის ისტორიულ მსვლელობაში თავისი საკუთარი ძალებით განავითარა და განამტკიცა ფეოდალური წყობილება, ფეოდალური რეჟიმი, შეჰქმნა ფეოდალური და ნახევრათ ეროვნული სახელმწიფო და საოცარი მხნეობით და სიმამაცით დაიცვა საკუთარი ტერიტორია, საკუთარი „სამშობლო“.

მაგრამ მან ვერ დაძლია ფეოდალური პარტიკულარიზმი საკუთარი ძალ-ღონით, ვერ შეჰქმნა ერთი მტკიცე თვითმპყრობელური სახელმწიფო და ვერ შესძლო გარეშე ძალის დაუხმარებლათ, დამოუკიდებლათ კაპიტალიზმში გადასვლა.

აი ამაში გამოიხატება ის თავისებურება, რაც მე ამ წერილის თავში აღვნიშნე.

მე მგონია, რომ ყველა იმათ, ვინც დღეს ამ „გარეშე ძალის“ შემოსვლაზე გაჰკივის და „საქართველოს დაპყრობაზე“ გაიძახის, სრულიათ არ ესმით ჩვენი ხალხის ისტორიის ზემოთ დახასიათებული და განმარტებული თავისებურება.

მე არ მგონია, რომ ჩვენი მენშევიკების ბელადს ნ. ჟორდანიას, „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“-ს ავტორს ეს არ ესმოდეს და თუ ის დღეს დადუმებულია, როგორც მწერალი და მოაზროვნე და მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობით და „დიპლომატიით“ კმაყოფილდება, აიხსნება იმით, რომ ისიც კარგათ გრძნობს დღევანდელი მისი კონტრ-რევოლიუციური მოღვაწეობა არ ეთანხმება, არ ეგუება, არ შეეფერება ზემოთ დასახელებულ ბროშურაში მის მიერ გამოთქმულ და დასაბუთებულ დებულებებს.

გადაიკითხეთ ეს ბროშურა და მერე თქვით ნოე ჟორდანიაზე: არის ის თავისივე თავის მოღალატე, თუ არა? მე მგონია, რომ ის მოღალატეა თავისივე თავის და აქედან მოღალატეა თავისი ერის, საქართველოს ისტორიის და ეს ისტორია კიდეც სჯის მას სასტიკათ: ერთ დროს ქართველი ერის მოწინავე მოაზროვნე და მაღალნიჭიერი მწერალი ჩამდგარა დღეს ქართველ მუშათა კლასის მოღალატეთა ხროვაში და ამ ხროვას უცხოეთში გაძევებულთ ხელმძღვანელობს. ამაზე უარესი სასჯელი ნემეზიდას არა აქვს ასეთი მოღალატეებისათვის!

ეს ყველა კარგი, მაგრამ საქართველომ რუსული ძალის შემოსვლით რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაჰკარგა 1783 წლის აქტით, ეს განა არ იყო ღირსი იმისა, რომ ქართველ ხალხს ამისთვის თავი გამოედო და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა გამოეცხადებია, რომ ეს დამოუკიდებლობა ისევ აღედგინა? განა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სახელმწიფო არაა ერის ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალება და იარაღი? შემეკითხებიან ჩვენი მემარცხენე ნაციონალ-ფედერალისტები.

ს. ქ.

(გაგრძელება იქნება)

ზე. ნედლი მასალა გავა, დარჩება საქონელი. ხელსაყრელი იქნება ასეთი ოპერაცია რესპუბლიკისათვის. თუ წინდაწინვე არ იქნება განსაზღვრული რა საქონლის შემოტანა შეიძლება მაშინ საქონლის სამაგიეროთ ნედლი მასალის გადაცვლა არ იქნება სასარგებლო, ვინაიდან ნედლი მასალა გადაიცვლება ისეთ საქონელზე, რომელიც არ წარმოადგენს დღევანდელ მდგომარეობაში აუცილებელ საჭიროებას.

თუ ზემო მოყვანილი მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები. სახელმწიფო უნდა განსაზღვროს რა საქონლის შემოტანა შეიძლება, რის შემოტანა აკრძალული არის, დანარჩენი საქონელი კი უნდა იქნეს იმდენათ დაბეგრული შემოსვლის დროს, რომ მისი შემოზიდვა არ იქნეს ხელსაყრელი. მაშასადამე, სახელმწიფო დიდ რიგ საქონლისას უშვებს, მხოლოდ იმდენათ დიდ ბაჟებს ადებს, რომ შემოტანისათვის აღარ ხდება ხელსაყრელათ. ასეთი მიმართულება არ ნიშნავს მფარველობას, პროტექციონიზმს. სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ დაიცვან თავის მრეწველობა უცხოეთის მრეწველობის შემოჭრისაგან ომიანობამდე, ომიანობის შემდეგ განსაკუთრებით მიმართავდენ მფარველობას. მფარველობის იარაღი იყო შემოტანილ საქონელზე შედარებით დიდი ბაჟები. ბაჟის სიდიდე ხელს უშლიდა უცხოეთიდან შემოსულ საქონელს შეტოქობა გაუწიოს შინაური მრეწველობისათვის. ჩვენ პირობებში კი გადიდებულ ბაჟებს სულ სხვა დანიშნულება აქვს: დაიცვას ხალხი, მისი სიმდიდრე რათა შემოსული საქონლის საშუალებით, რომელიც დიდ საჭიროებას, აუცილებლობას არ წარმოადგენს, არ იქნეს დაბეგვრილი მშრომელი, არ იქნეს გატაცებული მისი სიმდიდრე.

აი ამ დებულებებზედ იყო აშენებული ის დროებითი საბაჟო დებულება, რომელიც პირველ მარიობის თვეს მიიღო მთავრობამ. ამ დებულების ძალით სურსათი, სანოვაგე ყოველგვარი განთავისუფლებულია ბაჟებისაგან, თავისუფალია [illegible] წამლეულობა, სასოფლო სამეურნეო და სხვა იარაღები, ბევრი რამ აკრძალულია, ბევრი კი ძლიერ მძიმეთ არის დაბეგრული. რაც ხალხისათვის, ერის მრეწველობისათვის აუცილებელია ის თავისუფლად და უბაჟოთ შემოდის. მთავრობამ მოხსნა ასეთ საქონელზე ბაჟი იმ მოსაზრებით, რომ მისაწდომი გახდარიყო ასეთი საქონელი. დანარჩენი მძიმეთ არის დაბეგრული. ამ დებულებას ორი მოსაზრება უდევს საფუძვლათ: 1) მთავრობა არ უშლის შემოტანას, მხოლოდ შემოტანილ საქონელს ადებს ბაჟს ის ისეთი საქონელია, რომელსაც ხალხი მშრომელი ვერ შეიძენს, მისი ნივთიერი მდგომარეობა ვერ გაუძლებს; ასეთ საქონელს მოიხმარს მხოლოდ შეძლებული ნაწილი, მაშასადამე, ამ ნაწილმა გადაიხადოს ეს ბაჟი, 2) ვინაიდგან მთავრობა აძლევს ერთ ნაწილს მიიღოს ისეთი საქონელი, რომელიც მას შეუძლია შეიძინოს, ასეთი მოხმარებელი ვალდებულია ხაზინას მისცეს სამაგიერო, ეს სამაგიერო არის ხაზინაში შესული ბაჟი. ამ ბაჟის შემწეობით, ხაზინის მოგების გადიდებით ნაწილობრივ უნდა შემცირდეს კიდევ ის ბეგარა, რომელიც ხალხს ედება ქაღალდის ფულის ბეჭდვით. რაც მეტი ფულის ნიშნები უკან ხაზინაში დაბრუნდება, იმდენათ შემცირდება ქაღალდის ფულის ბეჭდვა, ფულის ნიშნების ღირებულების დაცემა.

კიდევ ერთი მოსაზრება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

საგარეო ვაჭრობის ბალანსი არ არის ჩვენთვის სასარგებლო. უცხოეთიდან მეტი შემოდის ვიდრე გადის, საგარეო ვაჭრობის ბალანსი ჩვენთვის საზარალოა, ძალიან საზარალოა. საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი დიდ გავლენას ახდენს ჩვენ ფულის ღირებულებაზედ. ჩვენ უფრო მეტი უნდა გადვიხადოთ, ვიდრე შეგვიძლია, ეს შეუძლებლობა პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენ ბალანსზედ. საღი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ბალანსი გაწონასწორებული იქნეს. საუკეთესო საშუალებაა ექსპორტის გაძლიერება, ჯერ ჯერობით ეს შეუძლებელია, მაშასადამე, უნდა იქნეს შეკვეცილი მოთხოვნილებანი, უნდა შემოვიდეს მხოლოდ უსაჭიროესი ნივთები და საქონელი, რათა პასივი შემცირდეს. მიუხედავათ შედარებით გადიდებული ტარიფისა საქონელი ბლომად შემოდის. საკმარისია თვალის გადავლება, რომ დავინახოთ რა მოაქვს უცხოელს. ყველაფერი გარდა პურისა, შაქრისა, მანქანებისა. შემოაქვს ის საქონელი, რომელიც რამდენიმე წელიწადია ვერ გასაღდა სტამბოლში, რომლის გასაღება შეუძლებელია სტამბოლის ბაზარზედ, მოაქვთ კი იმიტომ, რომ ფიქრობენ დამშეული, შევიწროებული საქართველო ყველაფერს მოიხმარს. მოდის ისეთი საქონელი, რომელზედაც შეიძლება ასი და ორასი პროცენტის მოგება. ასეთ საქონელში შეიძლება ჩვენი ოქრო, ჩვენი ნედლი მასალა მივცეთ? პური, შაქარი, წამალი, მანქანები, სამეურნეო იარაღი არ შემოდის, ვინაიდგან ძნელია ამ საქონელზედ გაზვიადებული მოგება, რადგან მისი მომხმარებელი არის ხალხის უმრავლესობა, რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ვერ აყვება იმპორტიორების ძლიერ [illegible] გემოვნებას. სპეკულიანტებმა [illegible] ატეხეს საბაჟო ტარიფის შესახებ, რადგან [illegible] ლარის ანგარიშში [illegible] ამ ხმაურობას...

თუ გვინდა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გაჯანსაღება, ჩვენი ფინანსების გამოსწორება, აუცილებელია მოთხოვნილების შემცირება და საქონლის ფართე შემოზიდვის აკრძალვა.

ხ. ავალიანი.

კომინტერნის მესამე კონგრესი

4 ივლისის სხდომა.

სხდომას ხსნის ამხ. კოლაროვი. სიტყვა ეძლევა ამხ. ვარგას მოხსენებისათვის კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც უნდა გამოერკვია მსოფლიო ეკონომიური კრიზისის საკითხი.

ის აღნიშნავს, რომ კ. კომისიამ ხსენებულ საკითხში მიაღწია სრულს შეთანხმებას ზოგიერთ ცვლილებების შეტანის საშუალებით, ამასთანავე მხედველობაში მიღებული იყო ყველა დელეგაციების შესწორებანი. ყველა წინადადებანი და შესწორებანი შეიძლება გავყოთ 4 ჯგუფად. პირველს ეკუთვნის საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა იქნეს უკეთ გაშუქებული არსებულ საკუთრივ ურთიერთობათა სპეციალური პირობები ცალკე ქვეყნებში. აქ არავითარი ცვლილებები არ იქმნა შეტანილი. მეორე ჯგუფი, რომელიც ეხება მეურნეობის მდგომარეობას ანტანტის ქვეყნებში და უმთავრესად, საფრანგეთში, ფრანგული დელეგაციის წინადადებით, ხელმეორედ იქნა გადამუშავებული. ამ გვარივე იქნა ხელახლად გადამუშავებული მესამე ჯგუფი, გლეხობის როლის შესახებ დასავლეთ ევროპაში. ამ საკითხში კომისიამ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება საშუალო და მსხვილ გლეხობისა და ბურჟუაზიის შორის არსებულ წინააღმდეგობას. ბურჟუაზიას პროლეტარიატთან ბრძოლისათვის ესაჭიროება საშუალო და მსხვილი გლეხობის დახმარება. მაგრამ უკანასკნელს უნდა თავიდან მოიცილოს კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენის მთელი სიმძიმე და უარს ამბობს გადასახადის გადახდაზე. ამის გარდა შეიცვალა მოხსენების ტაქტიკის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ნაწილი. მეოთხე ჯგუფს შეადგენს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობასთან. ამის მიხედვით შეცვლილია ტაქტიკა პროლეტარიატის შეტევის და თავდაცვის შესახებ მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში. ცვლილებების წაკითხვის შემდეგ, ამხ. ვარგა წინადადებას იძლევა მიიღონ ისინი უცვლელად.

ამხ. ვარგის მოხსენების შემდეგ, ამხ. ფროელიხი გერმანიის გაერთიან. კომუნისტური პარტიის სახელით აკეთებს განცხადებას, რომ უკანასკნელი ეთანხმება თეზისებს იმ შესწორებებით, რომლებიც იმაში კომისიამ შეიტანა. თეზისებს ამ შესწორებებით კენჭს უყრიან და ერთხმად ღებულობს კონგრესი, რასაც მთელი დარბაზი ტაშის ცემით ხვდება.

ოთხში კომისიის არჩევნები. ამ[illegible] პრეზიდიუმის წინადადებას შემდეგ კომისიების შემადგენლობის შესახებ: 1) ტაქტიკის საკითხის შესახებ, ამხ. რადეკის თავმჯდომარეობით, 2) კოოპერაციაზე, ამხ. სინჩუკის თავმჯდომარეობით რ. კ. პ., პროფესიონალურ მოძრაობის საკითხის შესახებ, ამხ. ჰეკერტის (გ. მ. კ. პ.) და როსმერის (საფრანგეთი) თავმჯდომარეობით და 4) აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, რომლის თავმჯდომარის დასახელება ევალება აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს.

თავმჯდომარე ამხ. კოლაროვი ცნობად აცხადებს, რომ კომისია პროფესიონალურ მოძრაობის საკითხის შესახებ შეძლების დაგვარად იმუშავებს პროფკავშირების ინტერნაციონალის სათანადო კომისიასთან ერთად.

შემდეგ კონგრესი გადადის პროფესიონალური მოძრაობის შესახებ კამათზე და წინასწარ წინადადებას აძლევს გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას წამოაყენოს ამ საკითხის შესახებ თავის მხრით თანამოხსენებელი, ვინაიდან იგი პრინციპიალურ ოპოზიციაში უდგას კონგრესს. გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიის წარმომადგენელს ეძლევა სიტყვისათვის ერთი საათი ჩვეულებრივი 10 წ. მაგიერ.

მე ვეთანხმები ამ. ზინოვიევს, — ამბობს ამხ. ზერგმანი (გ. კ. მ. პ.), — რომელმაც განაცხადა, რომ პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ საკითხს აქვს დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მე უნდა აღვნიშნო, რომ მარტო პოლიტიკურ და ეკონომიურ ხელისუფლების დაპყრობა ძალიან ცოტას ნიშნავს, უნდა შეგეძლოს იმის შენარჩუნება. ჩვენ ეს ვნახეთ 18 წლის გერმანიის რევოლუციის მაგალითზე, როცა პროლეტარიატმა, თუმცა გაიმარჯვა, მაგრამ იძულებული იყო ბურჟუაზიისათვის დაეთმო თავის პოზიცია. ამიტომ კომუნისტებმა ახლავე, კაპიტალისტურ წყობილების ჩარჩოებში, უნდა შექმნან ორგანიზაციები, რომლებიც შეძლებენ საჭირო მომენტში ეკონომიური ხელისუფლების ხელში აღება და გამგეობა: გუშინ ამხ. ჰეკერტმა აღნიშნა, რას წარმოადგენენ ახლა პროფკავშირები და რას უნდა წარმოადგენდენ სინამდვილეში. ისიც თანახმაა, რომ ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას ისახავენ პროფკავშირები, ვერ განხორციელდებიან ცხოვრებაში კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებში. ამხ. ზინოვიევმა სწორედ აღნიშნა, რომ ყვითელი პროფკავშირები წარმოადგენენ ბორკილების ერთ ერთ იმათგანს, რომლებითაც ბურჟუაზიას უჭირავს თავის ბორკილში პროლეტარიატი.

ამხ. ზინოვიევი და ჰეკერტი წინადადებას იძლევიან დაიპყრონ შიგნიდან პროფკავშირები; ამ მიზნით უნდა მოეწყოს მათში კომუნისტური უჯრედები. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პროფესიონალური კავშირები უნდა სავსებით დაირღვეს და პარალელურად აშენდეს ახალი რევოლუციონური ორგანიზაციები. ფაბკომების შესახებ კანონი, რომელზედაც თავიანთ ბრძოლაში უნდა დაყრდნობილიყვნენ მუშათა მასები, არ არის რევოლუციონური. ფაბკომები სინამდვილეში არ წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოებას კონტროლს უწევენ, არამედ ამაგრებენ მწარმოებლებს. ფაბკომებმა იმდენად დაკარგეს მუშათა მასების ნდობა, რომ მარტის დღეებში ლეუნავერზე მუშებმა გარეკეს ისინი და შექმნეს თავიანთი რევოლუციონური საფაბრიკო საბჭოები. მანამდის, სანამ მასები მიყვებიან ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალის ბელადთა ლოზუნგს, ვერც ფაბკომები, ვერც კომუნისტური უჯრედები, რომელნიც უნდა შექმნას გერმანიის კომუნისტურ პარტიის ოპოზიციამ პროფკავშირებში, ვერ მიაღწევენ მიზანს. რევოლუციის დასაწყისში გერმანიაში ფიქრობდნენ, რომ პროფკავშირების შესახებ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ჩვენის ფიქრით რევოლუცია უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდოდა. კომუნისტური უჯრედები პროფკავშირებში ნამდვილად დამრღვევ მუშაობას აწარმოებენ, მაგრამ პროლეტარიატის ფართე მასებმა ეს არ იციან. გერმანიის კომუნისტურმა მუშათა პარტიამ, შექმნა რა თავისი რევოლუციონური საფაბრიკო საბჭოები, თავიდანვე განაცხადა, რომ საჭიროა ბრძოლის სხვა მეთოდები, ვიდრე ამას იძლევა ფაბკომების შესახებ კანონი.

ჩვენი რევოლუციონური საფაბრიკო საბჭოები არ წარმოადგენენ ფალსიფიკაციას მსგავსად „სახელმწიფო“ ფაბკომებისა. პირიქით ისინი მასებშია ჩარგული, იმათ ხელმძღვანელობენ და რევოლუციის დროს ჩაუდგებიან მოძრაობას სათავეში. ასეთი რევოლუციონური საფაბრიკო საბჭოები უნდა შეიქმნეს ყველგან, ყველა ქვეყნებში, იმათ უნდა მიიღონ ჩვენი მთავარი მოთხოვნილებანი; პირველად, პროლეტარიატის დიქტატურის სრული მიღება და მეორედ, პარლამენტში მონაწილეობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ჩვენ არა ვართ მარტონი. არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც იქმნებიან ჩვენი მსგავსი ორგანიზაციები. მაგალითად, ინგლისში „შოპ სტიუარტს“ (მამასახლისთა საბჭოები) იბრძვიან ტრედ-უნიონების წინააღმდეგ, მაგრამ იმათაც უნდა იბრძოლონ აგრეთვე მთავრობასთან, ე. ი. უნდა აწარმოონ პოლიტიკური ბრძოლა. ეს ორგანიზაციები უნდა მოეწყონ წარმოების მიხედვით, აქ მოიწვევა მუშების მთელი მასა უნდა [illegible], დაინტერესონ წარმოებითი პროცესში ისე, რომ იმათ ჰქონდეთ [illegible] მოქმედების ერთიანობა, ამასთანავე არ უნდა დაივიწყონ ყოველდღიური პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატის ეკონომიური ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნენ ოპორტუნისტულნი, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ იტალიაში და ამერიკაში. კომუნისტების ამოცანას შეადგენს პროფკავშირების გარდაქმნა კომუნისტურად და რევოლუციონურად და საფაბრიკო საბჭოების სისტემის ორგანიზაციულად მოწყობა. ამ ეხლად საერთაშორისო პროფკავშირთა საბჭო იწვევს მოსკოვში პირველ კონგრესს იმ მიზნით, რომ გამონახოს პროფკავშირების ბრძოლის საერთო ხაზი. პროფკავშირების გადარჩენა რევოლუციისათვის მათი შიგნიდან დაპყრობის საშუალებით წარმოადგენს აბსურდს. და ის გარემოება, რომ პროფესიონალური კავშირი მიეწერა მოსკოვს, კიდევ არ ნიშნავს, რომ ის იმოქმედებს კომუნისტურად და გადამწყვეტ ბრძოლის საჭირო მომენტში უკან არ დაიხევს.

ჩვენ არა ვართ ყოველდღიური მუშაობის წინააღმდეგნი პროფკავშირებში, მაგრამ ჩვენი აზრით ის ჩვენ არ უნდა დავაყენოთ პირველ რიგში. ჩვენ ყოველთვის ხაზი უნდა გავუსვათ ჩვენ საბოლოო მიზანს, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ ბრძოლაში უნდა იხატებოდეს. უმთავრესად ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი რევოლუციონური ორგანოები, არა ზევიდან, არამედ ქვევიდან, მასების საშუალებით, არა ცენტრალიზმით, არამედ პირუკუღმა.

ამხ. ერმანი (ავსტრალია) ამბობს: ჩვენ დიდის ყურადღებით მოვისმინეთ გუშინ ამხ. ზინოვიევის სიტყვა, რომელმაც დაამტკიცა, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალს არ უნდა პროფკავშირებზე ბატონობა. მე უნდა განვაცხადო, რომ თუ ამხ. ზინოვიევი წინააღმდეგს იტყოდა, ე. ი. სცნობდა აუცილებლად პარტიის ბატონობას პროფკავშირებზე, ჩვენ, ავსტრალიის მუშები, ამას ვერ მივიღებდით. ჩვენ რასაკვირველია წინააღმდეგი არა ვართ, რომ პარტია ხელმძღვანელობდეს პროფესიონალურ მოძრაობას, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა უნდა ხორციელდებოდეს პროფკავშირების შიგნით და არა გარედან.

მუშათა პროფესიონალური მოძრაობა ავსტრალიაში ყოველთვის მეტად იყო განვითარებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მაშასადამე საშიშროება პროფკავშირთა ბიუროკრატიის მხრივ იქ უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვაგან. და მართლაც ავსტრალიის ყველა პარლამენტებში, როგორც ქვედა, ისე ზედა პალატებში ავსტრალიის მუშათა პარტიის წარმომადგენელნი თამაშობდნენ დიდ როლს და ხანდახან ხელში ეპყრათ მთელი ხელისუფლება. თანამდებობა პროფკავშირში იყო მხოლოდ გარდამავალ საფეხურად პარლამენტში. მაგრამ უკანასკნელ წლებში, 1917 წ. და, [illegible] მდგომარეობა შეიცვალა. მუშათა პარტიის წევრებმა დაკარგეს მუშათა კლასის ნდობა და საქმე თითქმის იქამდის მივიდა, რომ ისინი ვერ იბედავდნენ პარლამენტში გამოსვლას მუშათა პარტიის სახელით.

დღეს ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ავსტრალიის პროფკავშირების უკანასკნელ კონგრესზე 85 პროცენტმა განაცხადა პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალთან შეერთების სურვილი. ჩვენ იმედი გვქონდა მხოლოდ 40 პროც. და სინამდვილის შედეგი, რომელთაც ჩვენს მოლოდინს გადააჭარბეს, წარმოადგენენ ავსტრალიის მიწაზე ჩვენი იდეების გავრცელების საბუთს. ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ეს კონგრესი იყო მოწვეული პროფკავშირების კონსერვატიულ ხელმძღვანელების მიერ იმ იმედით, რომ თავიანთი [illegible] გაამაგრებდნენ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, სწორედ მოტყუვდნენ.

მშვიდობიანობის საერთაშორისო მუშები ჩვენში აწარმოებდნენ დიდ პროპაგანდას, მაგრამ ამ უკანასკნელს გავლენა არ ჰქონდა.

დასასრულს, ამხ. ერმანი ეხება პროფკავშირების ნეიტრალობას, დამოუკიდებლობას და აცხადებს, რომ ის სავსებით განუხორციელებელია, ჩვენი სურვილიც რომ იყოს, ვინაიდან მუშებმა ადრე თუ გვიან უნდა გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხებთან.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

კომინტერნის და პროფინტერნის მოწოდება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,

მოსკოვი, 26 სექტემბერი (რადიო) კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა და წითელი პროფკავშირების ინტერნაციონალის აღმასრულებელმა ბიურომ ყველა ქვეყნის პროლეტარებს შემდეგი მოწოდებით მიმართეს: „მსოფლიო კაპიტალი ამზადებს პოლონეთ რუმინეთის გამოლაშქრებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.“ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობა მოსამზადებელ ნაბიჯებს სდგამს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის ორგანიზაციისათვის. საფრანგეთის ბრძანებით პოლონეთის მთავრობამ საბჭოთა რუსეთს ულტიმატუმი წარუდგინა, რომელშიაც მოითხოვს ფულის დაუყოვნებლივ გადახდას.

საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო პოლონეთის მთავრობის მოთხოვნათა მიღება, რადგან ამ ფულით პოლონეთი აიარაღებდა სავინკოვის თეთრგვარდიელ ბანდებს, რომელნიც თავს ესხმიან რუსეთს, სწვავენ პურის ზვინებს და ანადგურებენ რკინის გზებს. პოლონეთის მთავრობა, რომელმაც უარყო საფრანგეთის მოთხოვნა, დაეცა, და ახლა ძალა-უფლება მარშალ პილსუდსკის ხელშია; რომელიც ასრულებს საფრანგეთის ნებას, უკვე დაიწყო სასაზღვრო კონფლიქტების მოწყობა. საფრანგეთი დაინტერესებულია, რომ, დაამხობს რა საბჭოთა მთავრობას, მეფის ძველ ვალებს [illegible], ამოქაჩავს რუსეთიდან. საფრანგეთს ემხრობა ინგლისი, რომელმაც ამ დღეებში საბჭოთა რუსეთს ულტიმატუმი წარუდგინა, რომელშიაც მოითხოვს რევოლუციონური პროპაგანდის შეჩერებას აღმოსავლეთში. ინგლისის გამოსვლა გვიჩვენებს, რომ ინგლისის სამხედრო მინისტრ ჩერჩილის [illegible] მზადდება ინგლისის პოლიტიკა მშვიდობიანი გზიდან საფრანგეთის საომარი პოლიტიკის გზაზე შეაყენოს.

მუშებო და მუშა ქალებო! კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტი და პროფინტერნის აღმასრულებელ კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს გაუწყოთ თქვენ, რომ საერთაშორისო მდგომარეობა სერიოზულია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველა ფაქტები მოწმობენ, რომ სერიოზული ძალები მოქმედებენ ახალი ინტერვენციის მოსამზადებლად. კომინტერნის და პროფინტერნის აღმასრულებელი კომიტეტები მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მუშებს და მუშა ქალებს, პარტიების განურჩევლად, რომელთაც ბოროტმოქმედი [illegible] მილიონებით დამშეულებს პურის მაგიერად ტყვია მიაწოდოს, [illegible] ბრძოლა იმპერიალისტური ბანდის ამ სამზადისს. ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ: მოაწყვეთ ყველა ქვეყნებში სადემონსტრაციო კრებები ლოზუნგით: „დაიცავით საბჭოთა რუსეთი, ძირს ბოროტმოქმედნი, რომელნიც ამზადებენ საბჭოთა რუსეთზე თავდასხმას“. ნუ დაუშვებთ, რკინის გზებით გადაზიდულ იქნას იარაღი პოლონეთსა, რუმინეთსა, ესტლანდიასა, ლატვიასა და ფინეთში. ყველა ქვეყნებში გააძლიერეთ თქვენი კავშირი ჯარისკაცებთან, რათა ისინი არ იქნენ გამოყენებულნი, როგორც საერთაშორისო კაპიტალის საზარბაზნე ხორცი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. შთააგონეთ თქვენს მთავრობებს, რომ თქვენ მზად ხართ ყველა საშუალებით შეუშალოთ ხელი ყოველგვარ [illegible] და საბჭოთა რუსეთზე ყოველგვარ ზედმოქმედებას. პური და მშვიდობიანობა რუსეთის დამშეულ ხალხს. [illegible] ბრძოლა საბჭოთა რუსეთის მიმართ ყოველგვარ მუქარის წინააღმდეგ.

პასუხი პოლონეთის ნოტაზე.

მოსკოვი. 24 სექტემბ. (რადიო). გამოქვეყნებულია ცნობა, რომელშიაც მოყვანილია პოლონეთის ულტიმატუმი და გარეშე საქმეთა კომისრის პასუხი მასზე, ცნობაში აღნიშნულია, რომ კიდევ 4 ივნისს რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობა პოლონეთის მთავრობას წინადადებას აძლევდა ორივე მხარე შესდგომოდა რიგის ხელშეკრულობის ვალდებულებათა ასრულებას. საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფება ხელშეკრულების ასასრულებლად ხვდებოდა პოლონეთის მთავრობის აშკარა წინააღმდეგობას. 14 სექტემბერს, 3 სექტემბერს პოლონეთისადმი წარდგენილ საფრანგეთის ულტიმატუმის ზედმოქმედებით, პოლონეთის წარმომადგენელმა მოსკოვში ულტიმატიურად მოითხოვა საბჭოთა მთავრობას 1 ოქტომბრამდე რიგის ხელშეკრულობის ვალდებულობათა შესრულება. 20 სექტემბერს პოლონეთის მთავრობამ კვლავ განიმეორა თავისი მოთხოვნანი იმ ფორმით, რომ მათი შესრულება ასეთ მოკლე დროში ფიზიკურად შეუძლებელია. რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების შესახებ პოლონეთის მთავრობის ნოტა სდუმს. ნოტა თავდება მუქარით, რომ მოსკოვიდან გაწვეული იქნება პოლონეთის წარმომადგენლობა, მოთხოვნათა 1 ოქტომბრამდე აუსრულებლობის შემთხვევაში. 8 სექტემბერს რ. ს. ს. რ. გ. ს. კომისარმა პოლონეთის მთავრობისადმი ნოტაში გამოაშკარავა დოკუმენტალურ მასალების მიხედვით, პოლონეთის მთავრობის დამოკიდებულების ფაქტი თეთრ-გვარდიულ ბანდებთან. ცდა დაემტკიცებინათ დოკუმენტების სიყალბე დარღვეულ იქმნა, ვარშავაში რუსეთის წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიუროს მიერ. პოლონეთის მთავრობამ ნება არ დართო გამოძიება, უარყოფა [illegible] ყოფილიყო და ამგვარად, პოლონეთის ხალხი შეცდომაში შეყავთ. რუს თეთრ-გვარდიელთა ბანდები, პოლონეთის ხელისუფლების დახმარებით, განაგრძობენ საბჭოთა საზღვარზე გადმოსვლას. და საბჭოთა ტერიტორიაზე დანაშაულობრივი ამწიოკებელ (პოგრომულ) მოქმედებას. პოლონეთის მთავრობა, გვერდს უვლის რა ბანდების ლიკვიდაციის საკითხს, არ ასრულებს რიგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. საბჭოთა მთავრობა ეხლაც, როგორც წინედაც, მზადაა შეასრულოს ყველა თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი იმავე ვადაში, რა ვადაში პოლონეთის მთავრობა ასრულებს რიგის ხელშეკრულების მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებათ.

საბჭოთა რუსეთის მოთხოვნანი.

მოსკოვი. 24 სექ. რუსეთის მთავრობა, როგორც აუცილებელ პირობას მის მიერ პოლონეთის მოთხოვნათა შესრულების, აყენებს პოლონეთის მთავრობის მიერ შემდეგ მოთხოვნათა შესრულებას: 1) რუსეთის მთავრობის მიერ ნაჩვენებ დროისათვის პოლონეთის საზღვრებიდან უნდა იქნან განდევნილნი ის პირები, რომელნიც რუსეთზე ბანდიტურ კონტრ-რევოლუციურ თავდასხმის ორგანიზაციის მონაწილენი არიან. 2) პირები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის ტერიტორიაზე ბანდიტურ თავდასხმაში ან ხელს უწყობდნენ მათ, უნდა იქნენ დაპატიმრებულნი და სასამართლოზე გადაცემულნი. 3) რუსულ კონტრ-რევოლუციურ არმიების წევრები, რომელნიც საზოგადოებრივ სამუშაოებზე იმყოფებიან, მოსაზღვრე ადგილებიდან პოლონეთის შიდა ნაწილში უნდა იქნან გადაყვანილნი. 4) რუსი კაზაკები, რომლებიც სამსახურში არიან პოლონელ მოსაზღვრე დამცველ რაზმებში, სამსახურიდან უნდა იქნან დათხოვნილნი და ქვეყნის შიდა ნაწილში გადაყვანილნი. 5) პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი, რუსეთის წარმომადგენელთან ერთად ვარშავაში, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ რუსეთის მთავრობის განკარგულებაში მყოფ მასალების განხილვას, პოლონეთის თანამშრომლების დანაშაულობის გამოსარკვევად და გამორკვეულ შემთხვევების მომავალში ასაცილებლად. ურთიერთის მიმართ წარდგენილ მოთხოვნათა ორივე მხარის მიერ ფაქტიური შესრულების გასაადვილებლად, რუსეთის მთავრობა წინადადებას იძლევა, მათი ორივე მხარის მიერ შესრულების ვადა გადატანილ იქნას 1 დან 5 ოქტომბრამდე.

ჩვენი მშვიდობიანობის მოყვარეობის საბუთი.

იძლევა რა ამნაირად მშვიდობიანობის მოყვარეობის ახალ საბუთებს, რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ პოლონეთის მთავრობა, თუმცა იგი ყოველნაირად აჭიანურებდა ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენას, აწონდაწონის მის მიერ განზრახულ რუსეთის მთავრობასთან პოლონეთის წარმომადგენლის მოსკოვიდან გაწვევას, შესდგება ერთად ერთ შესაძლებელ გზაზე კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასაცავად და შეუდგება რიგის ხელშეკრულობის ფაქტიურ განხორციელებას, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

საბჭოთა რუსეთი და რუმინეთი

ბუქარესტი 28 სექტემბერი (რადიო). რუმინეთის მთავრობა ოფიციალურად იტყობინება: რუმინეთსა და რუსეთს შორის გართულებულ ურთიერთობის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო თავის მოვალეობად მიაჩნია საჯაროდ განაცხადოს, რომ ამ ხმებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. რუმინეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ვარშავაში დავალებული აქვს შეუთანხმდეს საბჭოთა წარმომადგენლობას ორივე სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების ორგანიზაციისათვის და ნებართვის მისაღებად 4 საბჭოთა აგენტის გაგზავნისა რუმინეთიდან მოსკოვში და მოსაგვარებლად საბჭოთა აგენტების გამგზავრება მოსკოვიდან რუმინეთში. რუმინეთის მთავრობა [illegible] მოწმობს, რომ ამ ორი ქვეყნის შორის დამოკიდებულება ახლანდელ დროს არ არის კრიტიკული. რუმინეთის მთავრობის ცნობით, აგრეთვე სრულიად უსაფუძვლოა ბუქარესტში გავრცელებული ხმები რუმინეთის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიული განზრახვების შესახებ. რუმინეთი გადასწყვეტს მშვიდობიანად იცხოვროს დნეპრის აქეთა მხარეს მცხოვრებ მეზობლებთან და ამიტომ წინასწარ აცხადებს რომ არავითარ [illegible] არ შეუძლია რუმინეთი გამოიყვანოს მშვიდობიან მდგომარეობიდან.

ქართველ მენშევიკების საომარი მოწოდება

პარიზი, 6 სექტემბერი. გაზეთი „ტანში“-ში დაბეჭდილია ნოე ჟორდანიას და საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ჩხეიძის შემდეგი მოწოდება, მიმართული დასავლეთ-ევროპის ხალხთა საზოგადოებრივ აზრისადმი:

„საქართველოს რესპუბლიკის სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში, ჩვენი ხალხი არ განიცდიდა სიმშილის და ეპიდემიის საშინელებათ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსკოვის მთავრობის ჯარებმა, აი უკვე 6 თვეა, რაც ჩვენი ქვეყანა დაიჭირეს, ქვეყნის ცხოვრების პირობები საგრძნობლად შეიცვალნენ, ამასთან ერთად თვით საქართველოს ოკუპაცია გამოწვეული იყო ბოლშევიკების იმპერიალისტური პოლიტიკის შემდგომი გაგრძელების განზრახვებით აღმოსავლეთში.

მოკლე დროის განმავლობაში გამოილია საარსებოდ აუცილებელი ქვეყნის მარაგი. მისი ნაწილი მოხმარებულ იქნა საბჭოთა ჯარების და მათი უთვალავი მოხელეების საჭიროებათათვის, მეორე ნაწილი რუსეთში იქნა გაზიდული სამხედრო ნადავლის სახით. ბოლშევიკების უსირცხვილო დეკრეტების და სამხედრო რეკვიზიციების ნიღაბ ქვეშ ცარცვის წყალობით, [illegible] სულ მოკლე დროში მოასწრეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ორივე დარღვევა, მუშაობის ნაყოფიერების შეჩერება ინდუსტრიის დაღუპვა, სასოფლო მეურნეობის სრული განადგურება. ქვა ნახშირის ამოღება დაეცა 87 პროცენტით. თითქმის ყველა ფაბრიკები და ქარხნები დადგნენ. სათესი მიწების დათესვა შემცირდა 50 პროცენტით. რკინის გზების ექსპლოატაცია თითქმის ნულამდეა დაყვანილი. მიუხედავად ზემოდ ხსენებული პირობებისა, ბოლშევიკებმა მოსთხოვეს მოსახლეობას, სილატაკით უკვე განადგურებულს, ახალი კონტრიბუცია 50 მილიარდი მანეთის რაოდენობით, და, ამას გარდა, ბეგარის სახით, მატყლის და აუცილებელი სასურსათო პროდუქტების საგრძნობი რაოდენობა.

შედეგი: სიმშილი, ტიფი, ხოლერა და შავი ჭირი. თბილისის მცხოვრებნი სიმშილისაგან ქუჩებში ეცემიან. დედები თავს იკლავენ, რომ ბავშვების ტანჯვას არ უმზირონ. დღითი დღე მოსულების უღელი უფრო ცხადი ხდება. მისდევენ რა თავის იმპერიალისტურ ავანტიურებს, იყენებენ და ექსპლოატაციას უწევენ რა ჩვენს ქვეყანას, როგორც ბაზას ახალი [illegible] მოქმედებებისათვის, ბოლშევიკები განაგრძობენ საქართველოში ახალ-ახალ ძალების თავმოყრას, რომელნიც ვერ ღებულობენ რა რუსეთიდან ერთ ნატეხ პურსაც კი, ართმევენ მოსახლეობას ყველაფერს, რაც საჭიროა მათი არსებობის უზრუნველსაყოფად.

თავისუფლებას მოკლებულ ქართველ ხალხს საკუთარი ძალებით არ შეუძლია თავზე დატეხილ უბედურების დაძლევა. გარედან ეწვივნენ საქართველოს სიმშილი და ეპიდემიები, გარედანვე უნდა მოვიდეს დახმარებაც.“

გაზეთი „ტანი“ შემდეგ სწერს: ჟორდანია და ჩხეიძე სთხოვენ ევროპის და ამერიკის ხალხებს, რომლებმაც უკვე განაცხადეს სურვილი ქართველ ხალხს დახმარების ხელი გაუწოდონ, დაუყოვნებლივ გაგზავნონ საქართველოში საჭირო სასურსათო პროდუქტები და წამლეულობა. ეს დახმარება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ გაგზავნილი პროდუქტები არ ჩაუვარდეთ ხელში საბჭოთა ხელისუფლებას და ჯარს, რომელნიც ქვეყანას ანადგურებენ. ამას გარდა, ჟორდანია და ჩხეიძე თხოვენ თავისუფალ ხალხებს აღიმაღლონ, ბოლოს, ხმა ქართველი ხალხის დასაცავად და მოსულთა უღელი დაამსხვრიონ. მოწოდება შემდეგი სიტყვებით თავდება: „ახლა, როდესაც ბოლშევიკები უკვე ვეღარ ახერხებენ კიდევ დამალონ საშინელი უბედურებანი, რომლებიც ეწვივნენ ჯერ რუსეთს, შემდეგ კი ჩვენს ქვეყანასაც; ახლა როდესაც მოსკოვის ხელისუფლება მთელ ქვეყნიერებას ემუდარება დახმარებას, რათა დასძლიოს სიმშილი, მათივე საკუთარი ბოროტმოქმედებით დათესილი, — დადგა დრო, როდესაც თავისუფალი ხალხი ვალდებულია გამოსთქვას თავისი აზრი კრემლის თვითმპყრობელთა უკანასკნელ ბოროტმოქმედებაზე, ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე. ყველა ხალხებმა ჩვენთან ერთად უნდა მოითხოვონ, რომ ბოლშევიკებმა დასტოვონ საქართველო და დაუბრუნონ ქართველ ხალხს უფლება თავისუფლად განაგოს თავისი საკუთარი ბედი“.

(ეს მოწოდება „ტან“ში პირველ გვერდზეა დაბეჭდილი).

ქრონიკა

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე მოსკოვში. მიღებულ ცნობით, ამხ. მდივანი, რომელიც მოკლე ხნით იყო გამგზავრებული რესპუბლიკის საქმეების გამო, უკვე ჩასულა მოსკოვში.

◆ **რკ. გზ. სამსახურიდან განთავისუფლება** რკინის გზათა გაერთიანებულმა მმართველობამ შრომის სახალხო კომისარიატში შეიტანა შეკითხვა: რა ჰასაკის შემდეგ შეიძლება რკინის გზელთა სამსახურიდან სრული განთავისუფლება. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ამ წლის სექტემბრის 3 ს სხდომაზე დაადგინა: განემარტოს რკინის გზათა გაერთიანებულ მმართველობას, რომ ქალთათვის სამსახური სავალდებულოა 40 წლამდე, ხოლო მამაკაცებისათვის 50 წლამდე. ამ ჰასაკს გადაცილებულთა სამსახურიდან განთავისუფლება, ვიდრე მუშათა დამზღვევი ორგანოები საბოლოოდ მოეწყობა, თვითეულ კერძო შემთხვევაში უნდა ხდებოდეს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

◆ **ლიკვიდაციაქმნილთა დაკმაყოფილების შესახებ.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ამ წლის სექტემბრის 10-ის სხდომაზე დაადგინა ცირკულიარულად მიეწეროს ყველა დაწესებულებას და საპროფესიო კავშირს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მუშა-მოსამსახურეთა ლიკვიდაცია, ასეთ ლიკვიდაციაქმნილ პირთ უნდა მიეცეს სალიკვიდაციო გასამრჯელო და აგრეთვე ორი კვირის ადრე გაფრთხილებულ უნდა იქმნან სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებიან გაფრთხილებულნი, მათ გარდა სალიკვიდაციო ჯილდოსი უნდა მიეცეს ორი კვირის ჯამაგირი.

◆ **საექიმო დახმარება მუშა-მოსამსახურეთ.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ა. წ. სექტემბრის 13-ს დაადგინა მუშა-მოსამსახურეთათვის საექიმო დახმარებისა და წამლობის აღმოსაჩენად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან დაარსდეს განსაკუთრებული და ავტონომიური სექცია, რომელიც მოაწესრიგებს და სასურველ დონეზე დააყენებს ამ საქმეს.

პარტიული ცხოვრება

ზუგდიდის მაზრა.

პარტიული მუშაობა ზუგდიდის მაზრაში არ არის სათანადო დონეზე დაყენებული. მშრომელი მასა კიდევ არ იცნობს კომპარტიის პროგრამას, ამიტომ მას არ აქვს გარკვეული მოქმედება საბჭოთა მთავრობისა და არ იცის მიაკუთვნოს თუ არა კომუნისტურ პარტიას საბოლოოთ თავისი სიმპატია. გლეხი ხედავს, რომ მოისპო ქრთამობა, ნათლიმამობა, ქურდბაცაცობა, მაგრამ ვერ ხედავს მიზეზს ამის მოსპობისას. ის კმაყოფილია ყველა ამით, მაგრამ „პროვოკატორების“ წყალობით არ არიან დარწმუნებულნი, რომ ეს ასე გატარდება მუდმივ. ცხადია აუცილებელი საჭიროება პარტიული მუშაობის გაძლიერების.

სამაზრო პარტკომის შემადგენლობამ გაითვალისწინა სუყველა ეს და გამოიმუშავა გეგმა უჯრედებისა და თემების რევკომების გაჯანსაღებისათვის.

თითეულ რაიონს მიუჩინა თითო პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც შეაგროვებს თითო უჯრედიდან თითო ამხანაგს და ამგვარად შექმნის პატარა ჯგუფს. ამ ჯგუფს უხსნის ის კომმუნიზმის ანბანს და მასთან ერთად ახსნის კრებებს ყველა თემში პარტიული ამხანაგების, რევკომისას და მთელი საზოგადოებისას და დაწვრილებით უხსნის კომუნისტური პარტიის პროგრამას, საბჭოთა ძალაუფლების უპირატესობას მშრომელი ხალხისათვის.

ეს მუშაობა ერთის მხრით გვაძლევს საშუალებას გავაჯანსაღოთ თემის რევკომები, მეორეს მხრით აუხსნათ ხალხს საბჭოთა მთავრობის მოქმედება და უმთავრესად ვამზადებთ მომავალი მუშაკები საბჭოთა აღმშენებლობისათვის. ზემო აღნიშნული ჯგუფი თეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც ეცნობა მუშაობას. ცოტა ხნის მომზადების შემდეგ თვით იღებს მონაწილეობას მიტინგებში, დისკუსიებში და სხვა და სხვა პრინციპიალური საკითხების გარჩევაში.

ამ კამპანიის ჩატარების შემდეგ სამაზრო პარტკომს განზრახული აქვს გახსნას პარტსკოლა და შექნას საგანგებო რაზმი პარტიული ამხანაგებისაგან. სამაზრო პარტკომი ღრმად დარწმუნებულია, ყოველი ამხანაგი ამას სიხარულით შეეგებება და შეიტანს თავისი წვლილს ამ საერთო და აუცილებელ მუშაობაში.

შეგნებაშია—ძალა და ძალა [illegible] თვის აუცილებელი საჭიროა; ჩვენ გვექნება ძალა—თუ ენერგიულად ვიმუშავებთ, ენერგიული მუშაობა კი ვალია ყოველი კომუნისტისა.

მაკარ ქვეთანაძე.

პროვინციაში

მანგლისი.

კვირას, 18 სექტემბერს, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხანაგი [illegible] საერთო პარტიულ და უპარტიოთა მიტინგზე ვოლგის დამშეულ ამხანაგების დახმარების შესახებ და სასურსათო გადასახადზე და მოხსენება ამხანაგ მაჭაიძისა გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ არ დავივიწყებთ ჩვენი მეზობელ რუსეთის მუშათა კლასის ძმურ დახმარებას, რომელმაც გვიხსნა მენშევიკების მტრობისაგან. მისი საუკეთესო შვილებით გაიღეს მსხვერპლი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოვალეთ ვსთვლით ჩვენს თავს, გადავიხადოთ ჩვენი პროლეტარული ვალი და კიდევაც შევასრულებთ მას ღირსეულად. დეკრეტი № 60 სასურსათო გადასახადის შესახებ ეს სწორი და მიზან შეწონილია და მას პირნათლად შევასრულებთ. და ამით საშუალებას მივცემთ ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას საბჭოთა რეჟიმის განამტკიცებაში.

ვუძღვნით სალამს. საქართველოს კომპარტიის ცეკას რომელიც, ზრუნავს მშრომელთა მასის საკეთილდღეოთ, რაიც სხვათა შორის გამოხატება გლეხის კვირეულის მოწყობაში, კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას და მას სწორ ნაბიჯებს მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოთ.

კრების თავმჯდომარე გოგიჩაიშვილი.

ჩვენი ფოსტა

პროვინციის პარტორგანიზაციებს პასუხისმგებელ კორესპონდენტებს და პასუხისმგებელ პარტმუშაკთ. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები მიმდინარე მუშაობის შესახებ პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, სწორი და დასაბუთებული. განდევნეთ კორესპონდენციებიდან ეგრედწოდებული „თეორია“ და ფრაზა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

[illegible] მეუღლე თამარ ადამიძისა, შვილი ელენე და [illegible], სიდედრი ელისაბედი და ცოლის დები დარია კლაცმანი, მარიამ არუთინოვისა, ეკატერინე მაგალიანისა და ქვისლები ისაკ არუთინოვი და ვანო მაგალიანცი აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობთ, 24 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ვერაგულად მოკლულის თელავის რევკომის თავმჯდომარის

ლავრენტი გიორგის-ძე ადამიძის

გარდაცვალებას. სახლის ბინა კირკას ქ., 12. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აუწყებს [illegible] ყველა მდივნებს, რომ უკანასკნელი ვადა სექტემბრის პირველ და მეორე ნახევრის საერთო უწყებების წარდგენისა თავდება 30 სექტემბერს.

— მე 4 რაიკომი აუწყებს ყველა წევრთ და კანდიდატებს მე 4 რაიონისას, რომ ოთხშაბათს 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე „[illegible]აგიტ“-ის თეატრში შესდგება საერთო კრება ყველა წევრთა და კანდიდატებისა საქართველოს კომპარტიის მე 4 რაიონის.

დღის წესრიგი: მოხსენებანი თემებზე: 1. საქართველოს კომპარტიის განწმენდაზე და გადაშინჯვაზე. 2. ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკის ახალი კურსი 3. მიმდინარე საქმეები.

ტირაჟი 10.000 [illegible]